

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს მელიორაცია“ (მის: თბილისი, გ. გულუას ქ. №6), წარმოდგენილი - მისი გენერალური დირექტორის დავით წითილიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, შპს „ოპტიმალ გრუპ“ (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., №17ა) წარმოდგენილი - მისი დირექტორის ნინა კარბელაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, შემსყიდველმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი „ხრამ-არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის დაზიანებული მოწყობის (პკ114+10-დან პკ117+80-მდე) აღდგენა-რეაბილიტაცია (III რიგი)“ სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება შემდეგ თანხაზე: 24'740 (ოცდაოთხი ათას შვიდათორმოცი) ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით) (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

#### 1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.2. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერში (NAT200003527).
- 1.3. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული ტენდერისათვის, წარმოდგენილი, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:
  - 1.3.1. ფასების ცხრილი (დანართი №1);
  - 1.3.2. ტექნიკური დავალება (დანართი №2);
  - 1.3.3. სპეციალისტისა და პრეტენდენტის თანხმობა (დანართი №3);
  - 1.3.4. სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ აკრედიტაცია.
- 1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

#### 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს „ხრამ-არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის დაზიანებული მოწყობის (პკ114+10-დან პკ117+80-მდე) აღდგენა-რეაბილიტაცია (III რიგი)“ სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურება (შემდგომში „მომსახურება“), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 71200000; 71247000.
- 2.3. გასაწევი მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების ღირებულების შესაბამისად (დანართი №1).

#### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.
- 3.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი გიორგი მაკაროვი ან/და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ვახტანგ იაკობაშვილი (შემდგომში „ინსპექტორების ჯგუფი“).
- 3.3. ინსპექტორების ჯგუფის ფუნქციებია:
  - 3.3.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ვადების დაცვას;
  - 3.3.2. დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;
  - 3.3.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

#### 4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

- 4.1. მომსახურების გაწევის ვადა შემსყიდველის წერილობითი დავალებიდან 240 კალენდარული დღე.
- 4.2. NAT200003082 ტენდერის პირობების თანახმად, სარწყავი პერიოდის განმავლობაში (თითოეულ წელს სავარაუდოდ 7 თვე, შესაბამისი წლის მარტი - სექტემბერი), იმ სამუშაოებზე, რომელთა შესრულება რწყვის პარალელურად შეუძლებელი იქნება, სამუშაოების შესრულების ვადა გაიზრდება იმ დროით, რა დროითაც შეჩერებული იყო შესაბამისი სამუშაოები. ასეთ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით ზედამხედველობის მომსახურების გაწევის ვადაც გაიზრდება შესაბამისად.
- 4.3. თუ NAT200003082 ტენდერის ფარგლებში, შემსყიდველსა და სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ მიმწოდებელს შორის გაფორმებული შეთანხმებით გაიზრდება სამშენებლო სამუშაოების შესრულების ვადა, იგივე ვადით გაიზრდება ამ ხელშეკრულებით გასაზღვრული მომსახურების გაწევის ვადა, რის თაობაზეც გაფორმდება შეთანხმება. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი უარი თქვას შეთანხმების გაფორმებაზე ან მოითხოვოს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა.
- 4.4. მომსახურების გაწევის ადგილი: მარნეულის მუნიციპალიტეტი.  
ანგარიშები წარმოდგენილი უნდა იყოს შპს „საქართველოს მელიორაცია“-ში მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №6.

#### 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.
- 5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.
- 5.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სულ მცირე ყოველთვიურად, მომსახურების (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ (მათ შორის შესრულებულის სამუშაოს აქტის (ფორმა N2) დამოწმების შემდეგ);
- 5.4. მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.
- 5.5. მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენას გომიერულ კვადაშესაკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.



## 6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- 6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაადლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
- 6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების შესაბამისად, კერძოდ, ზედამხედველის მიერ დადასტურებული, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებას იმ პროცენტული ოდენობით, რომელიც მხარეების მიერ არის დაფიქსირებული მოცემულ ხელშეკრულებაში. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 6.3. წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
- 6.4. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო ზედამხედველის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს ზედამხედველს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე ზედამხედველს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთენტიკელ მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.
- 6.5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 9.3 პუნქტით დავისრულებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.
- 6.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 7. საგარანტიო პირობები და ვადები

- 7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება მომსახურების ტექნიკური დავალებით (დანართი №2) განსაზღვრულ პირობებს.
- 7.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში განხორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
- 7.3. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს ოვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსახლეობის მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

- 8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
- 8.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
- 8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
- 8.1.3. 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- 8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუდიტულობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მოლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
- 8.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- 8.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- 8.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას;
- 8.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მოცემული ზიანი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
- 9.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;
- 9.4. მიმწოდებელი ვალდებულია ზედამხედველით და ჯეროვნად შეასრულოს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, მათ შორის ტექნიკური დავალების მე 4 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები (გარდა ანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევისა, რაზეც გაგრძელდება 9.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო). აღნიშნულის ფარგლებში, შემსყიდველის შენიშვნის მიღებისთანავე მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და უმოკლეს პერიოდში აღმოფხვრას ხარვეზი (არაჯეროვნება). ყოველ ასეთ შემთხვევაზე, მიმწოდებელი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების ღირებულების 0.05 პროცენტი ყოველი დღისათვის, რაც დასჭირდება შესაბამისი ხარვეზის (არაჯეროვნების) აღმოფხვრას;
- 9.5. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:
- 9.5.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშეშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით;
- 9.5.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის გამოწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;
- 9.5.3. ხელშეკრულების 9.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახდონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადადამე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

## 10. ფორს-მაჟორი

- 10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შესრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობას.



- 10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გათვალისწინებული ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემზარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
- 10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

#### 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

მხარეაა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასაქარაოლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 12.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთუება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

#### 13. ხელშეკრულების სხვა პირობები

- 13.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მოლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;
- 13.2. მომსახურების გაწევის პერიოდში ხელშეკრულების 1.3.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართით განსაზღვრული სპეციალისტ(ებ)ის შემადგენლობაში ცვლილების შემთხვევაში, მიმწოდებელმა შემსყიდველს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს და შეუთანხმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა სპეციალისტ(ებ)ით ჩანაცვლების საკითხი. ახალი სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი ელექტრონული ტენდერით (აუქციონის გარეშე) დადგენილ მოთხოვნებს სპეციალისტის გამოვდილებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებლის წინააღმდეგ გამოიყენოს, ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.
- 13.3. თუ მომსახურების გაწევის პერიოდში ამოიწურება ხელშეკრულების 1.3.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ აკრედიტაციის მოქმედების ვადა ან შეწყდება აკრედიტაციის მოქმედება მოლიანად ან ნაწილობრივ შემდეგ რომელიმე სფეროში - ობიექტის (მათ შორის ჰიდროტექნიკური ნაგებობების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება და ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა#2-ის მიხედვით), შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებლის წინააღმდეგ გამოიყენოს, ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

#### 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### 15. მხარეთა რეკვიზიტები

**„შემსყიდველი“**  
შპს „საქართველოს მელიორაცია“  
მის: თბილისი, გ. გულუას ქუჩა N6  
ტელ: (995 32) 2 480100.  
სს თბილისი ზანკი  
ა/ა GE42TB7484736020100003; ბანკის კოდი: TBCBGE22  
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568

**„მიმწოდებელი“**  
შპს „ოპტიმალ გრუპ“  
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., №17ა  
ტელ: 593 43 44 45  
სს თბილისი ზანკი  
ა/ა GE27TB7160936080100002; ბანკის კოდი: TBCBGE22  
საიდენტიფიკაციო კოდი: 404911592

**„შემსყიდველი“**  
შპს „საქართველოს მელიორაცია“

დავით წითლიძე  
გენერალური დირექტორი

**„მიმწოდებელი“**  
შპს „ოპტიმალ გრუპ“

ნინა კარბელაშვილი  
დირექტორი

დანართი N1				
ფასების ცხრილი (დღგ-ს ჩათვლით)				
Nº	მომსახურების დასახელება	სამშენებლო სამუშაოების საგარეულო ღირებულება	ერთულის ფასი (ლარი)	სამშენებლო სამუშაოების ღირებულების პროცენტი
1	„ზრამ-არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის დაზიანებული მონაკვეთის (პკ114+10-დან პკ117-80-მდე) აღდგენა-რეაბილიტაცია (III როგი)“ სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურება	626 340.00	24 740.00	3.949931347191620%

შენიშვნა:

ცხრილში ყველაფერი ფერთი მონიშნულია პრეტენდენტის მიერ შესვები ველი, დანარჩენი ველები ივსება ავტომატურად.

ყველა დანართი წარმოდგენილი უნდა იყოს PDF ფორმატში და დამოწმებული უნდა იყოს პრეტენდენტის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამით.

სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესაბამისად, არ არის წარდგენილი სარეგულირებო ხარჯთაღრიცხვა ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიცი(ებ)ის რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.

Digitally signed by Nina  
Karbelašvili



## ტექნიკური დავალება

მშენებლობის ზედამხედველობა ხორციელდება სამუშაოების, გამოყენებული მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობებისა და დანადგარების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან, საპროექტო-ტექნიკურ პირობებთან და შემსყიდველის მიერ სამშენებლო კომპანიასთან გაფორმებული სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით:

1. მშენებლობის ზედამხედველობა მოიცავს:
  - 1.1. სამშენებლო ტექნიკური დავალების, შესრულებული სამუშაოთა მოცულობების პროექტთან და მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებთან შესაბამისობის კონტროლს;
  - 1.2. შუალედური და საბოლოო შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) მოყვანილი სამუშაოთა მოცულობებისა და ფასების შედარებას ხარჯთაღრიცხვასთან და ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებთან, შესაბამისობის შემთხვევაში მათ დადასტურებას, შესაბამისი ინსპექტირების ანგარიშის მომზადებას;
  - 1.3. სამუშაოთა შესრულების პროცესში შესაბამისობისა და დევექტების გამოვლენას, ფოტოფიქსაციასა და შემსყიდველის ინფორმირებას;
  - 1.4. ისეთი სამუშაოებისა და კონსტრუქციული ელემენტების დამოწმებას და შეცდომას, რომლებიც დაიფარებიან შემდგომი სამუშაოების შესრულების შედეგად, შესაბამისი აქტების შედგენაში (ფარული სამუშაოების აქტები) მონაწილეობის მიღებას;
  - 1.5. სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის მიერ ლაბორატორიული კვლევების ჩატარების (ასეთის საჭიროების არსებობის შემთხვევაში) კონტროლს ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტების შესაბამისად;
  - 1.6. შესრულებული სამუშაოების აღრიცხვასა და ზედამხედველობის ყოველდღიური ჟურნალის წარმოებას;
  - 1.7. წარმოებული სამშენებლო სამუშაოების პროგრესის, ტემპის და შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესრულების კონტროლს, რაც გულისხმობს სამუშაოს დაწყების თარიღის, სამუშაოს (როგორც მთლიანი სამუშაოს, ასევე, გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული რომელიმე ნაწილის) შესრულების ვადების, სამუშაოს დასრულების ვადის მონიტორინგს და შემსყიდველის ინფორმირებას, შესყიდველისათვის შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების წარდგენას;
  - 1.8. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალის ან/და ექსპლუატაციაში გასაშვები ხისტემების გამოცდის პროექტზე დაკვირვებას, მათი არსებულ ნორმებთან შესაბამისად ჩატარების კუთხით და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობას;
  - 1.9. მშენებლობის პროცესში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ დამკვეთისთვის ყოველთვიური ანგარიშის მოწოდებას წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება სამუშაოების მიმდინარეობა და მათი ყველა ძირითადი კომპონენტის რეალური პროგრესის ანალიზი დაგეგმილთან მიმართებაში;
  - 1.10. შემსყიდველის დაუყოვნებელ ინფორმირებას სამუშაოთა შეჩერების, შეფერხების ან/და სხვა ნებისმიერი დამაბრკოლებელი გარემოების წარმოშობისთანავე;
  - 1.11. საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ან/და სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის ინიციატივით პროექტსა და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ შემსყიდველსათვის არგუმენტირებული წინადადებების წარდგენას;
  - 1.12. გამოსაყენებელი ძირითადი სამშენებლო მასალების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და მსგავსი სამუშაოებისათვის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლს;
  - 1.13. სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის მიმართ მითითებებისა და მიწერილობების შესრულებაზე კონტროლს, რომლებიც მიეკუთვნება სამუშაოების ხარისხის, გამოყენებული მასალების, ცალკეული სამუშაოების დევექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საკითხებს;
  - 1.14. სამუშაოების წარმოების პროცესში სამშენებლო კანონმდებლობისა და მშენებლობის ნებართვის დადგენილი პირობების შესრულების კონტროლს.
2. ზედამხედველი ვალდებულია:
  - 2.1. განუხრებლად და კეთილსინდისიერად განახორციელოს ზედამხედველობის ხელრის მიკუთვნებული ყველა ღონისძიება;
  - 2.2. აკონტროლოს შესრულებული სამუშაოების მოცულობების, ხარისხის, გამოყენებული მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობებისა და დანადგარების პროექტით განსაზღვრულ სტანდარტებთან, პროექტის ტექნიკურ და სამუშაოების მწარმოებელი კომპანიისა და შემსყიდველის შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობა;
  - 2.3. ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოოს ზედამხედველობა და უზრუნველყოს საკუთარი წარმომადგენლების უწყვეტი დასწრება სამუშაოთა წარმოების პროცესის მიმდინარეობისას;
  - 2.4. უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის, ფარული სამუშაოებისა და გამოვლენილი ხარვეზების ფოტოფიქსაცია და მათი ასახვა შესაბამის ანგარიშებში;
  - 2.5. სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის მიერ წარდგენილი შუალედური და საბოლოო შესრულებული სამუშაოების აქტებზე (ფორმა N2) შენიშვნის აწარსებობის შემთხვევაში, ხელმოწერით დადასტუროს წარმოდგენილი ფორმა N2 და გასცეს შესაბამისი ინსპექტირების ანგარიში;
  - 2.6. არ დაუშვას სამუშაოების შესრულების პროცესში მშენებლობისთვის განკუთვნილი ისეთი ძირითადი მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარების გამოყენება, რომელიც იყო ექსპლუატაციაში ან/და არ შეესაბამება შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და მსგავსი სამუშაოებისათვის დადგენილ ნორმებს, აღნიშნულის დადასტურებისთვის ზედამხედველს უფლება აქვს, სამუშაოების წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მოითხოვოს შესაბამისი სერთიფიკატ(ებ)ი;
  - 2.7. სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩენილი წუნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეადგინოს შესაბამისი აქტი (დევექტური აქტი) და მოითხოვოს მიწოდებისგან გზიერულ ვადაში გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა;
  - 2.8. არ მიიღოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისგან დარღვევით ან გადახვევით წარმოებული სამუშაოები, უარყოს დაუდასტურებელ სამშენებლო სამუშაოებზე ანგარიშსწორების დოკუმენტის დადასტურება და მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტის კორექტირება.

3. ანგარიშების წარგენა

3.1. ზედამხედველმა შესრულებული სამუშაოს დადასტურება (შესაბამისი ინსპექტირების ანგარიშის წარდგენა) ან მოტივირებული შენიშვნებით სამუშაოების წარმოებულისათვის დაბრუნება უნდა მოახდინოს. შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა N2) წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

3.2. მიმდინარე ანგარიში

ზედამხედველმა ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის დასრულებიდან 10 კალენდარული დღისა, უნდა წარმოადგინოს მოკლე მიმდინარე ანგარიში, სადაც შეჯამებული იქნება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოები. ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს წამოჭრილი პრობლემები (ადმინისტრაციული, ტექნიკური ან/და ფინანსური), მოცემული იქნება რეკომენდაციები ამ პრობლემების გადაჭრის შესახებ, სამუშაოების მიმდინარეობა და მათი ყველა ძირითადი კომპონენტის რეალური პროგრესის ანალიზი დაგეგმილთან მიმართებაში.

3.3. საბოლოო ანგარიში

სამშენებლო სამუშაოების დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ზედამხედველმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საბოლოო კომპლექსური ანგარიში განვილი პერიოდში მის მიერ განხორციელებული ზედამხედველობის საბოლოო შედეგების შესახებ. საბოლოო ანგარიშში ასახული უნდა იყოს სამშენებლო პროექტის ყველა ხარვეზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფოტოფიქსაციის მასალებთან ერთად და რეკომენდაციები მათ გამოსასწორებლად. საბოლოო ანგარიშთან ერთად, შემსყიდველის მოთხოვნით, წარმოდგენილ უნდა იქნას ზედამხედველობის პროექტში შედგენილი სრული დოკუმენტაცია.

4. ზედამხედველი პასუხისმგებელია:

- 4.1. თავისი მოვალეობების ობიექტურ და კვალიფიკაციურ შესრულებაზე;
- 4.2. უზარისხოდ შესრულებული ან შეუსრულებელი სამუშაოების დადასტურებაზე;
- 4.3. სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაციის კვალიფიციურ წარმოებაზე;
- 4.4. შემსყიდველისათვის წარდგენილ ანგარიშებზე;
- 4.5. შუალედური შესრულებული სამუშაოების აქტებში მითითებული მონაცემების სისწორეზე;
- 4.6. მისი მიზნით სამუშაოების შეფერხებაზე.

5. დოკუმენტაციის წარმოების წესი

- 5.1. ტექნიკური ზედამხედველობის ფარგლებში მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე და ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირების (მათ შორის ფორმა N2-ის მიხედვით) ფარგლებში შექმნილი ყველა სახის დოკუმენტი უნდა დადასტურდეს სსიპ „კარედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად, ყველა პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით.



სპეციალისტისა და პრეტენდენტის  
თანხმობა

ტენდერი, რომლის ფარგლებშიც გაიცემა თანხმობა: NAT200003527  
(შემდგომში - ტენდერი)

პრეტენდენტის საფირმო სახელწოდება: **ოპტიმალ გრუპ +**  
პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **404911592**  
პრეტენდენტის ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: **ნინა კარბელაშვილი**  
(შემდგომში - პრეტენდენტი)

სპეციალისტის სახელი და გვარი: **გოგიტა ქუთათელაძე**  
სპეციალისტის პირადი ნომერი: **17001004215**  
სპეციალობა: **პროექტის მენეჯერი**  
(შემდგომში - სპეციალისტი)

მე, სპეციალისტი, თანახმა ვარ, რომ ტენდერის ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციას“ და პრეტენდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შეთხვევაში, პრეტენდენტს გავუწიო მაღალკვალიფიციური მომსახურება ჩემი სპეციალობით და სრულად შევასრულო ჩემზე დაკისრებული ვალდებულებები, ტენდერისა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მე, პრეტენდენტის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი თანახმა ვარ, რომ ტენდერის ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციას“ და პრეტენდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შეთხვევაში, ექსპონო შრომითი ურთიერთობა წინამდებარე თანხმობაში მითითებულ სპეციალისტთან, რათა მან გამიწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება ტენდერისა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სპეციალისტი: **პროექტის მენეჯერი**  
სახელი, გვარი: **გოგიტა ქუთათელაძე**  
ხელმოწერა:

Digitally signed by Gogita Kutateladze

პრეტენდენტი:  
ხელმძღვანელის სახელი და გვარი: **ნინა კარბელაშვილი**  
ხელმძღვანელის/წარმომადგენლის ხელმოწერა:

შენიშვნა:  
თანხმობა სპეციალისტისა და პრეტენდენტის მიერ დამოწმებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად  
აღნიშნული დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

სპეციალისტისა და პრეტენდენტის

თანხმობა

ტენდერი, რომლის ფარგლებშიც გაიცემა თანხმობა: NAT200003527  
(შემდგომში - ტენდერი)

პრეტენდენტის საფირმო სახელწოდება: **ოპტიმალ გრუპ +**  
პრეტენდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **404911592**  
პრეტენდენტის ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი: **ნინა კარბელაშვილი**  
(შემდგომში - პრეტენდენტი)

სპეციალისტის სახელი და გვარი: **კონსტანტინე ხაზალია**  
სპეციალისტის პირადი ნომერი: **01026004140**  
სპეციალობა: **ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი**  
(შემდგომში - სპეციალისტი)

მე, სპეციალისტი, თანახმა ვარ, რომ ტენდერის ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და პრეტენდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შეთხვევაში, პრეტენდენტს გავუწიო მაღალკვალიფიციური მომსახურება ჩემი სპეციალობით და სრულად შევასრულო ჩემზე დაკისრებული ვალდებულებები, ტენდერისა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მე, პრეტენდენტის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი თანახმა ვარ, რომ ტენდერის ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციასა“ და პრეტენდენტს შორის ხელშეკრულების გაფორმების შეთხვევაში, ვიქონიო შრომითი ურთიერთობა წინამდებარე თანხმობაში მითითებულ სპეციალისტთან, რათა მან გამიწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება ტენდერისა და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

სპეციალისტი: **ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი**  
სახელი, გვარი: **კონსტანტინე ხაზალია**  
ხელმოწერა:

Digitally signed by Konstantine  
Khazalia

პრეტენდენტი:  
ხელმძღვანელის სახელი და გვარი: **ნინა კარბელაშვილი**  
ხელმძღვანელის/წარმომადგენლის ხელმოწერა:

შენიშვნა:  
თანხმობა სპეციალისტისა და პრეტენდენტის მიერ დამოწმებული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად  
აღნიშნული დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს





სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო –  
აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმძღვრე

GAC-IB-0256

ადასტურებს, რომ

შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 17 ა;

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აგრეთვე აღნიშნულია, რომ ობიექტის ხარისხობრივების ინსპექტირება ობიექტის ხარისხობრივების დასაბუთების ადეკვატურობის ინსპექტირება; ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა#2-ის მიხედვით); ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური დოკუმენტაციის, შესრულებული სამუშაოების, სარეგისტრაციო, სადემონსტრაციო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენიშვნის, საგებობების, პირობითი ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, აგროფორების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება /ინსპექტირება; მათ შორის, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა/დასკვნა; საინჟინრო-პედოლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილის საინჟინრო ქსელები (ელ. მონტაჟების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყარბოვანობა, კანალიზაცია, წყალმომარაგება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (გაზთაგაზი, კონდიციონერები, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელების ნაწილი; უსაფრთხოების ნაწილი; არქიტექტურული ნაწილი (იხ. დანართი - „აგრეთვე აღნიშნულია“).

აკრედიტაციის ცენტრის  
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი

18 იანვარი 2019 წ.

ძალაშია

18 იანვარი 2023 წ.

0186 თბილისი, აღ. ყაზბეგის გამზ. №42ა

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-ML-0256  
გენერალური დირექტორის განკარგულება №06/15  
თარიღი: 18.01.2019

Digitally signed by Nina Karbelashvili

„ვამტადიკა“  
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი



ინსპექტორების ორგანოს

აკრედიტაციის სფერო

შპს „ოპტიმალ გრუპ“ -ი

მისამართი: ქ. თბილისი. ჭავჭავაძის გამზ. 17 ა;



ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო  
შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

შპს „ოპტიმალ გრუპ“-ის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო		
ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამშენებლო ნორმები და წესები -(CHuII - ნაწილი IV);</li> <li>2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(EHuP)</li> <li>3. (BHhP)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები;</li> <li>4. (B3EP)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალურ ერთეული ნორმების კრებული;</li> <li>5. (CCH)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;</li> <li>6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ);</li> <li>7. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და ვეგმური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014წ. 14 იანვრის დადგენილება №55);</li> <li>8. OPT-IP_C_GE-ინსპექტირების პროცედურები.</li> </ol>

ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო  
შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადგილმდებარეობის ინსპექტირება	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: - დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან და საკრიოების შემთხვევაში პროექტთან; - კონკრეტული მომწოდებლის რეკონსტრუქციის შესაძლებლობებთან;	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამშენებლო ნორმები და წესები - (CHnII - ნაწილი IV);</li> <li>2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (EHnP)</li> <li>3. (BHnP) - სამშენებლო სამუშაოების უწყვეტრიფი ნორმები;</li> <li>4. (B3EP) - სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული;</li> <li>5. (GCH) - ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;</li> <li>6. სამშენებლო რესურსების ფასები (ნრფ); გამომცემელი - შშენებლობის შემფასებელთა კავშირი (შშკ);</li> <li>7. ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადგილმდებარეობის დადგენის მეთოდიკა“ (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბერ დადგენილება №439)</li> <li>8. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების საბეღამო შესილდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014წ. 14 იანვრის დადგენილება №55)</li> <li>9. OPT-IP_AD_GE - ინსპექტირების პროცედურები.</li> </ol>
---	--	---



ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო  
შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

<p>ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა#2-ის მიხედვით)</p>	<p>ინსპექტირების ამოგანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან;</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП - ნაწილი IV);</li> <li>2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР)</li> <li>3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები;</li> <li>4. (ВЗЕР)-სარეზინტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული;</li> <li>5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები;</li> <li>6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამოშვებული - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (შშკ);</li> <li>7. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმურ მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 იანვრის დადგენილება №55);</li> <li>8. OPT-IP_F_GE - ინსპექტირების პროცედურები.</li> </ol>
--	--	---

ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო  
შპს „ობტომალ გრუპ“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

<p>ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, ადამონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება</p>	<p>ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაზერატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამშენებლო ნორმები და წესები -(CHmΠ - ნაწილი 3);</li> <li>2. სამშენებლო ნორმები და წესები -(CHmΠ - ნაწილი 2);</li> <li>3. ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014წ. იანვრის დადგენილებაში №71);</li> <li>4. საქართველოს ეროვნული სტანდარტი SST(სსტ) 72:2009 „გზის საავტომობილო სერიო სარგებლობის - გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“;</li> <li>5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წ. იანვრის დადგენილება №41);</li> <li>6. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 2 იანვრის დადგენილება №41);</li> <li>7. OPT-IP_Q_GE- ინსპექტირების პროცედურები.</li> </ol>
---	---	--



ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო  
შპს „ოპტიმალ გრუპი“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

ბიძეტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანადან გამომდინარე: ობიექტის (შენობების, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროექტზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან. ობიექტის მშენებლობის ან ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დაცვის ინსპექტირება.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV);</li> <li>2. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი 3);</li> <li>3. Правила устройства электростановок (ПУЭ)</li> <li>4. ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014წ იანვრის დადგენილებაში №71); ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014წ. 27 ივნისის დადგენილება №361);</li> <li>5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი SST(სსტ) 72:2009 „გზის სავტომობილო საერთო სარგებლობის - გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“;</li> <li>6. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 3 დეკემბერი);</li> <li>7. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 1 დეკემბერი);</li> <li>8. OPT-IP_SU_GE- ინსპექტირების პროცედურები;</li> </ol>
--	---	---

ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო  
შპს „ოპტიმალ გრუპ“-ს A ტიპის ინსპექტირების ორგანო

<p>ამშენებლო ობიექტის პროექტის ხელშეწყობის, ნაგებობების, აღრუტევი კურონა ნაგებობების, ადების, გვირაბების, კროდრომების, საავტომობილო ხეობის და სხვა ხაზობრივი გზების) ან პროექტის ნაწილის უმეტეს დოკუმენტებთან სამამისობის შეფასება ნსპექტირება. მათ შორის: აინჟინრო-გეოლოგიური კლუბ/დასკვნა; აინჟინრო-ჰიდროლოგიური კლუბ/დასკვნა; ინსტრუქციული ნაწილი; ინჟინრო ქსელები (ელ. იმარაგების სისტემები, სუსტი ენების სისტემები) და მათი უნლოლოგიური ნაწილი; ინჟინრო ქსელები ყალბომარაგება, კანალიზაცია, ალანინება და მათი უნლოლოგიური ნაწილი; ინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, ნდიფირება, გათბობა) და მათი უნლოლოგიური ნაწილი; ომის უსაფრთხოების ჯილი, ანძრო უსაფრთხოების ჯილი, უბტექტურული ნაწილი</p>	<p>ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია; ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНИП-ნაწილი 1);</li> <li>2. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНИП-ნაწილი 2);</li> <li>3. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНИП-ნაწილი 3);</li> <li>4. Правила устройства электротановок (ПУЭ)</li> <li>5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარგულირებული ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014წ. 15 იანვრის დადგენილება №71);</li> <li>6. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2015წ. 15 ივლისის დადგენილება №370); ტექნიკური რეგლამენტი - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის 2014წ. 27 ივნისის დადგენილება №361);</li> <li>7. ტექნიკური რეგლამენტი სიმძლავრე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები (დადგენილება №477 2017.10.27);</li> <li>8. საქართველოს ეროვნული სტანდარტი SST(სსტ) 72:2009 „გზის საავტომობილო სარითო სარგებლობის - გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“;</li> <li>9. ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 06 იანვრის დადგენილება №41);</li> <li>10. ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2016 წ. 28 იანვრის დადგენილება №41);</li> <li>11. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 3 დეკემბერი);</li> <li>12. ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №366, 2013 წლის 24 დეკემბერი);</li> <li>13. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი);</li> <li>14. OPT-IP, PR, GE - ინსპექტირების პროცედურები;</li> </ol>
---	--	--